სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 114

2014 წლის 19 ნოემბერი

ქ. თბილისი

აშშ-ს სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF –Global), სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) პროგრამის „დამოუკიდებელი ექსპერტიზა და მდგრადი მეცნიერება საქართველოსათვის" ფარგლებში ერთობლივი სამეცნიერო-საგრანტო კონკურსის „ახალგაზრდა ქართველ მეცნიერთა მხარდაჭერა" დაფინანდებული პროექტების წარმდგენებთან საგრანტო ხელშეკრულების გასაფორმებლად საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალისა და საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების ვადების დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. აშშ-ს სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF –Global), სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) პროგრამის „დამოუკიდებელი ექსპერტიზა და მდგრადი მეცნიერება საქართველოსათვის" ფარგლებში ერთობლივი სამეცნიერო-საგრანტო კონკურსის „ახალგაზრდა ქართველ მეცნიერთა მხარდაჭერა" დაფინანდებული პროექტების წარმდგენებმა გარდა „რადიოინდუცირებული ონკოგენეზის ადრეული მარკერების დადგენა მდედრობითი სქესის პოპულაციაში საქართველოს ტერიტორიაზე" პროექტისა, საგრანტო ხელშეკრულების გასაფორმებლად, სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში (შემდგომში - ფონდი) 2014 წლის 24 ნოემბრის 18.00 საათამდე უნდა წარმოადგინონ ფონდის კანცელარიაში შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) პროექტის წარმდგენი დოქტორანტის/დოქტორის პირადობის მოწმობის ასლი;
ბ) პროექტის წარმდგენი დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;
გ) პროექტის წარმდგენი დოქტორანტის მიერ ფონდში წარმოდგენილი უნდა იყოს ცნობა დოქტორანტურაში სწავლის შესახებ;
დ) გამგზავნი ორგანიზაციის მიერ პროექტის სახსრებისათვის გახსნილი მიზნობრივი საბანკო ანგარიში, რომელზეც არ დაირიცხება სარგებელი (ცნობა ბანკიდან);
ე) გამგზავნი ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო ნომერი.

2. საგრანტო ხელშეკრულება გაფორმების ვადა განისაზღვროს 2014 წლის 25 ნოემბრიდან 28 ნოემბრის ჩათვლით.

3. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტს (თ. ბოკუჩავას) წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება.

4. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე განთავსებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მარინე ჩიტაშვილი